პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

21 აპრილი, სამშაბათი, 1987 წ. № 78 (1949) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ჩოგბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოფიციალური ცნობები

● 18 აპრილს, მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობა დაამთავრა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის XX ყრილობამ. ყრილობის დახურვის წინ დელეგატებს სიტყვით მიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

● საკავშირო და რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის საპირველმაისო მოწოდებანი.

## ვულოცავთ!

### საპატიო წოდებათა მინიჭება

**საქართველოს სსრ** უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში დამსახურებისათვის მიენიჭათ საპატიო წოდებანი:

**„საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი":** **ბურჯანაძეს ჰანს ალექსანდრეს ძეს** — უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლის საქართველოს სპორტული ტანვარჯიშის ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს, **გვეტაძეს ზიგფრიდ დავითის ძეს** — საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის სსრკ ნაკრები გუნდის მწვრთნელს სპორტულ ტანვარჯიშში, **გეგელიას მიხეილ გიორგის ძეს** — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აკრობატიკის რესპუბლიკური სპეციალიზებული სკოლის დირექტორს, **დარახველიას თამარ ვიქტორის ასულს** — № 2 უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლის მწვრთნელს ფარიკაობაში, **ელაშვილს ვახილ ივანეს ძეს** — საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის პროფესორს, **კანდელაკს ბართლომე იოსების ძეს** — სპორტულ ნაგებობათა სამმართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტული დარბაზის დირექტორს, **მარიდაშვილს ბიჭიკო ალექსის ძეს** — ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის" საგარეჯოს ჭიდაობის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტული სკოლის მწვრთნელს სამბოში;

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი":** **ეფრემიდის ქსენია პანაეტის ასულს** — სპორტულ ნაგებობათა სამმართველოს ველოტრეკის საექიმო კაბინეტის უფროს ექიმს;

**„საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი":** **ძნელაძეს ნაზი ამბაკოს ასულს** — საქართველოს ფიზიკური კულტურის ტექნიკუმის დირექტორის მოადგილეს იდეურ-აღმზრდელობით დარგში, მასწავლებელს.

## კორტზეა ჩვენი მომავალი

**გუშინ** თბილისში, სპორტსაზოგადოება „დინამოს" კორტებზე დაიწყო ჭაბუკ ჩოგბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი — გაიმართა ასპარეზობის საზეიმო გახსნის მიმზიდველი ცერემონიალი და პირველი ოცდამეთორმეტედფინალური შეხვედრები. აღსანიშნავია, რომ ადრე ამ ტურნირს ქვეყნის სხვადასხვა ქალაქები მასპინძლობდნენ, უკანასკნელ ოთხ წელიწადს კი იგი თბილისში ტარდება. წლევანდელ ასპარეზობაში შეჯიბრება პირადია, 96 ჩოგბურთელი გამოდის, აქედან ნახევარი — გოგონები. საბჭოთა სპორტსმენებთან ერთად ტურნირში მონაწილეობენ ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, კუბის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, გდრ-ის, გფრ-ის წარმომადგენლები — სულ 40 სტუმარი.

— თბილისის ტურნირი საერთაშორისო შეჯიბრებათა სერიაში შედის, — გვითხრა ასპარეზობის მთავარმა მდივანმა, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯმა ირინა მუზიჩენკომ (მოსკოვი), — სარბიელზე გამოდიან 18 წლისა და უფრო ახალგაზრდა ჩოგბურთელები, რომელთა მიზანია საჭირო ქულებით წინ წაიწიონ საერთაშორისო კლასიფიკაციაში. მაინც ვინ გამოდის თბილისში? განსაკუთრებით გამოვყოფთ ვაჟთა ოთხეულს — ჩეხოსლოვაკიელებს მარეკ მიშკოლცსა და ტომაშ ზდრაჟილას, უფელ ანდრეი ჩერკასოვს (იგი ევროპის მოქმედი ჩემპიონია 16 წლის ასაკამდე ჭაბუკთა შორის) და 18 წლის თბილისელ სპორტის ოსტატს დავით კაჭარავას, რომელიც, როგორც იცით, ასევე ევროპის ჩემპიონი გახდა წყვილთა თანრიგში.



19 აპრილს ჩატარდა კიდევ ერთი მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიება — რიტმულ ტანვარჯიშში მომეცადინეთა საჩვენებელი გამოსვლები და კონკურს-შეჯიბრებები. ამ ღონისძიებებში მონაწილეობდნენ აგრეთვე ბრეიკ-დანსისა და მხატვრული ტანვარჯიშის გამაჯანსაღებელ ჯგუფებში მომეცადინენი. ღონისძიებები განსაკუთრებით საინტერესოდ ჩატარდა საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სასახლეში, სადაც ჯანმრთელობის სკოლაში, რომელიც სამეურნეო შემოსავალზე მუშაობს, ასობით სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანი მეცადინეობს.

## თანაბარი შანსებით

**თბილისის** ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში დაიწყო საკავშირო თასის გათამაშების წინასწარი ეტაპის შეჯიბრებები ფრენბურთში ქალთა გუნდებს შორის. ერთმანეთს ხვდებიან — ბაქოს „ნეფთჩი", ტალინის „კალევი", გროდნოს „კომუნალნიკი" და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი. პირველ-მეორე ადგილზე გასული კოლექტივები საპატიო პრიზისთვის ბრძოლას მომდევნო ეტაპზე გააგრძელებენ.

როგორც პირველი სამი დღის ორთაბრძოლებმა გვიჩვენა, ერთ-ერთი საგზურის უდავო პრეტენდენტები იქნებიან ბაქოს „ნეფთჩის" ფრენბურთელები, რომლებმაც პირველ ტურში იოლად დაამარცხეს გროდნოელი კოლეგები, შემდეგ კი ტალინელებს დააყარევინეს ფარ-ხმალი — 3:1. ფინალური ტურნირის მეორე საგზურის მოსაპოვებლად მეტნაკლებად ერთნაირი შანსი აქვს დანარჩენ სამ კოლექტივს. ჩვენმა ფრენბურთელებმა პირველ ტურში დაძაბული ბრძოლა მოუგეს ბალტიისპირელებს — 3:2, შემდეგ კი ასეთივე ანგარიშით გროდნოს გუნდთან დამარცხდნენ.



გუშინ პირველი წრის ბოლო შეხვედრები გაიმართა. ტალინის „კალევმა" ანგარიშით 3:0 დაამარცხა გროდნოს „კომუნალნიკი", საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი დამარცხდა ბაქოს „ნეფთჩისთან" — 1:3.

დღეს ტურნირის მონაწილეები ისვენებენ.

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და რესპუბლიკის სპორტსახკომში

სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებისათვის რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მზადების შტაბის მორიგმა სხდომამ, რომელიც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში გაიმართა, განიხილა თამაშებისათვის ჩვენი ნორჩი ფრენბურთელებისა და ხელბურთელების მზადების საკითხი. შტაბის სხდომაზე დაისახა ღონისძიებები ამ სახეობაში ნაკრები გუნდებისთვის წვრთნის პირობების გასაუმჯობესებლად.

თამაშების ჩატარების ხელმძღვანელობის შტაბის სხდომა გაიმართა აგრეთვე საქართველოს სპორტსახკომში. დღის წესრიგში იყო თამაშებისთვის სპორტული ბაზების უკეთ მომზადებისა და ამ ბაზების მზადყოფნის შესამოწმებლად სპეციალური კომისიის გამოყოფის, აგრეთვე სტუმრებთან საქმეო მუშაობის საკითხები. მოისმინეს ინფორმაციები იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება ადრე მიღებული გადაწყვეტილებები.

## გამარჯვება სახატოვას დარჩა

**როგორც** იცით, მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირის საგზურის მოსაპოვებლად გამართული დამატებითი მატჩის მონაწილეებმა ნინო გურიელმა და გულნარა სახატოვამ პირველი-ორი პარტია გადადეს. ორივე შეხვედრა ყაიმით დამთავრდა, მესამეში კი ალმაათელმა საერთაშორისო ოსტატმა იმარჯვა და საზონათშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლებაც მან მოიპოვა. ანგარიში გახდა 2:1 მის სასარგებლოდ. მართალია, მეტოქეებს კიდევ ერთი პარტია დარჩათ სათამაშო, მაგრამ თუ მას გურიელი მოიგებს და ანგარიში გახდება 2:2, უკეთესი კოეფიციენტის გამო გამარჯვებულად მაინც სახატოვა გამოცხადდება.

## დამატებითი მატჩის მოლოდინში

უნგრელმა ანდრაშ ადორიანმა და ამერიკელმა იასერ სეირავანმა საუკეთესო შედეგი აჩვენეს ნიუ-იორკის მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში, რომელიც მონაწილეთა სიმრავლით გამოირჩეოდა — შეჯიბრებაში 22 ქვეყნის 90 მოჭადრაკე გამოდიოდა. ადორიანი და სეირავანი, რომლებმაც 11-11 შეხვედრიდან 8-8 ქულა მოაგროვეს (შვეიცარიული სისტემა ამჯერად 11 ტურს ითვალისწინებდა), ახლა ერთმანეთს უნდა შეხვდნენ გამარჯვებულის გამოსავლენად. მსოფლიოს ექსჩემპიონმა ვასილი სმისლოვმა 6,5 ქულა მოაგროვა.

### ტელეტაიპი - მკითხველი

● **ჩელიაბინსკი.** „იუნოსტის" სპორტის სასახლეში დამთავრდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ტანვარჯიშში. ვაჟთა შორის აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული ალმაათელმა ვალერი ლიუკინმა მოიპოვა — 115,10 ქულა, ქალებში უძლიერესი იყო 17 წლის ლენინგრადელი სტუდენტი ელენე შუშუნოვა — 77,95 ქულა.

● **ვენა.** ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატის მეორე ტურში ასეთი შედეგები აღინიშნა: სსრ კავშირი — გფრ 7:0, კანადა — ჩეხოსლოვაკია 1:1, ფინეთი — შვეიცარია 3:2, შვეცია — აშშ 6:2. გათამაშებას ჯერჯერობით სსრ კავშირის და შვეციის გუნდები ლიდერობენ. მათ 4-4 ქულა აქვთ. კანადისა და ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტებმა თითო მატჩი მოიგეს და თითოც ფრედ დაამთავრეს.



აშშ-ის ტელეკომპანია ტი-ბი-ესი, როგორც ცნობილია, კეთილი ნების თამაშების ორგანიზატორია. ამ ტელეკომპანიის პრეზიდენტმა ტედ ტერნერმა ამას წინათ გაზეთ „სოვეტსკი სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში ისევ დაადასტურა, რომ თამაშები კვლავაც ჩატარდება და ამჯერად ასპარეზობის მასპინძელი ქალაქი სიეტლი იქნება.

მომავალი თამაშების ორგანიზაციისა და საბჭოთა ოლიმპიურ კომიტეტთან ურთიერთობის გაღრმავების მიზნით ჩვენს ქვეყანაში სისტემატურად ჩამოდიან ტი-ბი-ესის წარმომადგენლები. ამ დღეებში მოსკოვში, სომხეთსა და საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ტელეკომპანიის ვიცე-პრეზიდენტი რობერტ ვუსლერი.

სურათზე: რობერტ ვუსლერი თბილისში.

# საჭიროა სპორტული მედიცინის ფაკულტეტი

სპორტული მედიცინის ჯგუფის (ფაკულტეტის) შექმნის იდეა პირველად დაიბადა სამედიცინო ინსტიტუტის სპორტულ კლუბში, რომელსაც ხელმძღვანელობს ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი არჩილ ასათიანი. წინადადება განსახილველად სამედიცინო ინსტიტუტმა დააყენა რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების წინაშე.

საკითხი მით უფრო აქტუალურია, თუ გავითვალისწინებთ, რომ სახელმწიფო სპორტკომიტეტის მიერ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრისადმი მიწერილ წერილში აღნიშნულია, რომ ამჟამად სპორტული მედიცინის სპეციალისტები ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნებს სპორტისა და ფიზიკური კულტურის დარგში.

ამგვარად, დღის წესრიგში დადგა სამედიცინო ინსტიტუტში სპორტული მედიცინის ჯგუფის ჩამოყალიბება. გამოირკვა, რომ აღნიშნული პრობლემის პრაქტიკულად განხორციელება მეტად დიდ საორგანიზაციო მუშაობის ჩატარებას მოითხოვს: პირველ რიგში, სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფიზკულტურისა და საექიმო კონტროლის კათედრის მატერიალურ-ტექნიკური (კლინიკური და სპორტული) ბაზების შექმნა იქნება საჭირო.

კათედრას, პირველ რიგში, დასჭირდება რესპუბლიკურ ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში გამოუყონ სულ მცირე 30-საწოლიანი სარეაბილიტაციო განყოფილება საჭირო დამხმარე კაბინეტებით. ამის შესაძლებლობა საავადმყოფოში არსებობს, თუ რასაკვირველია, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და საავადმყოფოს ადმინისტრაცია ქმედით ღონისძიებებს გაატარებენ.

გარდა ამისა, სპორტული მედიცინის ფაკულტეტისთვის აუცილებელია სპორტული ბაზები: სპეციალიზებული სპორტული დარბაზები, საცურაო აუზი, სტადიონი და სხვა, რათა კათედრას საშუალება ჰქონდეს პრაქტიკულად უჩვენოს მომავალ სპეციალისტებს ის, რასაც ისინი მუშაობაში გამოიყენებენ. არც ეს პრობლემაა რთული გადასაწყვეტი, მხოლოდ ამისათვის ჩვენი ქალაქის სპორტული ბაზების ხელმძღვანელებმა კათედრას მუშაობის მინიმალური პირობები მაინც უნდა შეუქმნან. სწავლების პროცესში საჭირო იქნება აგრეთვე საექიმო-ფიზკულტურის დისპანსერების, სარეაბილიტაციო ცენტრების და საექიმო კონტროლის კაბინეტების გამოყენება.

კარგი იქნება, თუ სამედიცინო ინსტიტუტის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია ყურადღებას დაუთმობს სპორტულ მედიცინას. მაგალითად, კარგი იქნებოდა თუ ლაბორატორიაში შეიქმნება სპორტული მედიცინის მუშაკთა პატარა სამეცნიერო ჯგუფი, რომელიც კათედრასთან ერთად იმუშავებდა მედიცინის ამ დარგში.

ჩვენმა კათედრამ წინადადება წამოაყენა, რომ ამ ჯგუფს დაერქვას სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ჯგუფი. ასეთი სახელწოდება მიანიშნებს იმაზე, რომ გარდა სპორტული მედიცინისა, ამ ჯგუფში მომეცადინე ახალგაზრდები კვალიფიკაციას აიმაღლებენ ფიზიკურ რეაბილიტაციაში, ისინი შეისწავლიან სამკურნალო ფიზკულტურას, ფიზიოთერაპიას, რეფლექსოთერაპიას და სხვ. ყოველივე ეს აუცილებელია სპორტში მომუშავე ექიმისათვის, რომელმაც სპორტული მედიცინის გარდა მუშაობა უნდა შეძლოს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებების (საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, დისპანსერების, რეაბილიტაციური ცენტრების, სანატორიუმების და სხვ.) რეაბილიტაციურ განყოფილებებში.

არის აზრი, ეს ჯგუფი შეიქმნას სამკურნალო ფაკულტეტთან, თანაც რუსულ სექტორთან, რათა სპეციალისტები მოძმე აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებისათვისაც მომზადდეს.

სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის სპეციალისტების მომზადება კომპლექსური სწავლების მეთოდით უნდა განხორციელდეს. გარდა პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო ხასიათის თეორიული და კლინიკური საგნებისა, სტუდენტები ფართო პროგრამით გაივლიან სპორტულ მედიცინას (საექიმო კონტროლი, სპორტული ტრავმატოლოგია, სპორტის ჰიგიენა და ა. შ.), დინამიურ ანატომიას, სპორტის ფიზიოლოგიასა და ბიოქიმიას, ბიომექანიკას, ფიზიკური აღზრდის თეორიას...

ბუნებრივია, ამ ჯგუფში (ფაკულტეტზე) უპირველესად უნდა ჩაირიცხონ სპორტსმენები, რომლებსაც უყვართ სპორტი და სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გააგრძელებენ სპორტსა და რეაბილიტაციაში პროფილაქტიკურ და სამკურნალო ხასიათის მუშაობას. თვით სამედიცინო ინსტიტუტი უნდა დაინტერესდეს და ეს ჯგუფი შეავსოს ჩვენი რესპუბლიკის იმ წამყვანი სპორტსმენებით, ვისაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დადგეს ადამიანის ჯანმრთელობის სადარაჯოზე და ფიზიკური კულტურა და სპორტი გამოიყენოს მოსახლეობის გასაჯანსაღებლად და შრომის უნარის ასამაღლებლად.

ამგვარად, დღის წესრიგშია სამედიცინო ინსტიტუტში სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ჯგუფის შექმნა, რაც ერთხელ და საბოლოოდ გადაწყვეტს რესპუბლიკაში ფიზკულტურასა და სპორტში მომეცადინეთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის პრობლემას.

**რომანოზ ხვანიშვილი.**

# აქაც სიყალბე?

ეს ასპარეზობა მნიშვნელობითა და რანგით, იქნებ არც იმსახურებდეს იმას, რომ აქ მომხდარ დარღვევაზე ყურადღება გავამახვილოთ. შეჯიბრება, მართალია, საქალაქო მასშტაბისაა, მაგრამ მასში მხოლოდ საბინაო მეურნეობის სამმართველოსადმი დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა გუნდები მონაწილეობენ და ამიტომ აქ მომხდარ სიყალბეზე არც რესპუბლიკური და საქალაქო ფეხბურთის სადისციპლინო-ტექნიკური კომისია იმსჯელებს სპეციალურად, რადგან, როგორც ითქვა, რანგის მიხედვით ასპარეზობა ამას არ იმსახურებს. თუმცა, ფაქტზე აუცილებლად უნდა ითქვას.

ზემოხსენებული დარგობრივი სპარტაკიადა სპორტის 7 სახეობაში ტარდება. ფეხბურთელთა ასპარეზობა სამ ეტაპად გაიმართა. ერთ-ერთ მათგანში 26 კომისრის რაიონის № 89 და № 90 საბინაო-საექსპლოატაციო უბნების (№ 89 უბნის უფროსი ა. მელიქსეტიანი, 90 უბნისა — ტ. ჟორჟოლიანი. ტრესტის ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტი ლ. გარავაია, უბნისა — ზ. ბოკუჩავა) გუნდების შემადგენლობაში ჩაურიცხავთ ფეხბურთელები გ. ბიბილური და გ. გელაშვილი, რომელთაც არაფერი აქვთ [illegible] ამ კოლექტივებთან. [illegible] გუნდი [illegible] [illegible] შემდეგ [illegible] [illegible] [illegible] კოხად.

ეს ფაქტი განიხილეს საბინაო მეურნეობის სამმართველოს (უფროსი გ. დიდბარიძე) სამართალდარღვევა-პროფილაქტიკის, ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისა და დისციპლინის განმტკიცების საკოორდინაციო კომისიის სხდომაზე, რომელმაც 26 კომისრის რაიონის საბინაო-საექსპლოატაციო ტრესტის მიერ I დარგობრივ სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის გაწეული მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ჩათვალა. 26 კომისრის საბინაო-საექსპლოატაციო ტრესტის გუნდის დაკომპლექტებაში გამოჩენილი უკონტროლობისათვის ტრესტის მმართველის მოადგილეს თ. ბერიაშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური. ყალბი ცნობების გაცემისათვის № 89 უბნის უფროსი ა. მელიქსეტიანი სამსახურიდან გაათავისუფლეს. კომისიამ არამიზანშეწონილად ჩათვალა ტრესტის ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტების ლ. გარავაიასა და № 90 უბნის ფიზკულტურის მეთოდისტის ზ. ბოკუჩავას ამ თანამდებობაზე დატოვება.

**უშანგ ჭიჭინაძე.**

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

რედაქციას უპასუხებს „საქმთავარენერგოს“ სამრეწველო-სარემონტო საწარმო.

# „დაუჯერებელი ამბავი“

„ლელოს“ 22 მარტის ნომერში დაბეჭდილმა სტატიამ („დაუჯერებელი ამბავი“) ჩვენს კოლექტივში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. იმის თქმა, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება, არ არის საჭირო, ვინაიდან ამას ფოტობრალდებებიც კარგად ადასტურებს. ვაღიარებთ, რომ ამ საქმეში მეტ-ნაკლები დანაშაული მიუძღვის რაიონის ხელმძღვანელობას, ზაჰესის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმო-დაწესებულებებს, ამ დაწესებულებათა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სკოლას და მოსახლეობას. თავის დროზე რომელიმეს პრინციპულობა რომ გამოეჩინა, საქმე კატასტროფამდე არ მივიდოდა.

„ლელოს“ პუბლიკაცია ჩვენი საწარმოს ადმინისტრაციის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მსჯელობის საგანი გახდა. თათბირზე თავიდანვე შევთანხმდით, თავი არ გვემართლებინა, გვეღიარებინა, რომ ყველანი დამნაშავეები ვართ, რომ მთავარი ის კი არ არის, ვის რა ზომის დანაშაული მიუძღვის, არამედ ის, რომ უპასუხისმგებლოდ მოვეკიდეთ საქმეს. დამნაშავე ვართ იმაში, რომ მივიღეთ თუ არა გადაწყვეტილება ჩვენი ადმინისტრაციულ-საწარმოო კორპუსის სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენების შესახებ, მაშინვე უნდა შევდგომოდით სპორტული კომპლექსის მოწყობას. აღნიშნული კორპუსის ნულოვან ციკლზე მუშაობა თითქმის მთელი წელიწადი გაგრძელდა, ამასობაში აქ შეიძლებოდა სპორტული კომპლექსის მოწყობა.

არც რაიონის ხელმძღვანელები მოიქცნენ სწორად. ადმინისტრაციულ-საწარმოო კორპუსის მშენებლობის დაწყებისთანავე, სპორტული კომპლექსისათვის გამოყოფილი ტერიტორია გადაეცა მცხეთის საკოლმეურნეობათაშორისო საამშენებლო ორგანიზაციას. აქ კი საქმე დახწრებაზე იყო, საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაცია უმალვე დაეუფლა ტერიტორიას და ყოველგვარი პროექტის გარეშე დაიწყო მუშაობა. მცხეთის მთავარი არქიტექტორის გ. მაჭარაშვილის მოთხოვნა — საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციას შეეწყვიტა ყოველგვარი მშენებლობა ზაჰესის მოსახლეობისათვის სპორტული მოედნის მოსაწყობად გამოყოფილ ტერიტორიაზე—არ შესრულდა.

გვინდა გაცნობოთ რა გაკეთდა სტატიის გამოქვეყნების შემდეგ. კრიტიკა დაგვეხმარა საქმის ადგილიდან დაძვრაში და ამიტომ წყენის ნაცვლად მადლიერების გრძნობა გაგვიჩნდა თქვენს მიმართ. უმოკლეს ვადაში გამოიყო ტერიტორია სპორტკომპლექსისათვის. სამშენებლო სამუშაოების შესრულება დაევალა საქმთავარენერგოს სპეციალიზებულ სარემონტო სამშენებლო ტრესტს, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას. მშენებლობა აყვანილია კონტროლზე. შემოწმებით დადასტურდა, რომ სამუშაოები მიმდინარეობს მაღალი ტემპით — მიწის სამუშაოები დასასრულს უახლოვდება, მალე დაიწყება დამხმარე სათავსოების მშენებლობა.

კრიტიკამ დადებითად იმოქმედა საქმთავარენერგოს სამრეწველო-სარემონტო საწარმოს სპორტულ საქმიანობაზეც. საწარმოს ქარხნის ტერიტორიაზე გამოიყო ადგილი მარტივი ტიპის სპორტული მოედნისათვის, სადაც შეიძლება ვარჯიშები ჩატარდეს ფრენბურთში, კალათბურთში და ჩოგბურთში. საწარმოს ახალგაზრდობის ინიციატივით უკვე მოეწყო შაბათობა, გასუფთავდა და მოსწორდა ადგილი, საამქროებს დაევალათ ინვენტარის დამზადება. ეს სპორტული მინიმოედანი მიმდინარე კვარტალში ჩადგება მწყობრში. აქვე მოეწყობა სარბენი ბილიკი. ამ საქმის ბოლომდე მიყვანა დაევალა საწარმოს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას, კონტროლი — დირექტორის მოადგილეს. საწარმოს პროფკომიტეტმა შეაფასა და არადამაკმაყოფილებლად სცნო ფიზკულტურის მეთოდისტის თ. თურმანიძის მუშაობა და გააფრთხილა. თ. თურმანიძეს დაევალა რადიკალურად გარდაქმნას ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობა.

ახლა საწარმოში ყოველდღე ტარდება ვარჯიში, შედგენილია პერსპექტიული გეგმა და მაისიდან დაიწყება შეჯიბრებები ჭადრაკში, შაშში, მაგიდის ჩოგბურთში, მრავალჭიდში, მოეწყობა ტურისტული ლაშქრობები. საწარმომ უკვე შეიძინა 650 მანეთის სპორტული ინვენტარი.

ერთი სიტყვით, თქვენი გაზეთის კრიტიკულმა გამოსვლამ დიდი სარგებლობა მოუტანა ზაჰესის ახალგაზრდობას. საწარმოს ადმინისტრაცია, პარტიული კომიტეტი, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ შეინარჩუნონ სპორტული კომპლექსების მშენებლობის მაღალი ტემპი და დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანონ“.

**ე. ჩახნიანი** — საწარმოს დირექტორი, **ლ. ჭოლაძე** — პარტბიუროს მდივანი, **ზ. ხუბაევი** — პროფკომიტეტის თავმჯდომარე, **ლ. ფუხაშვილი** — კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, **თ. თურმანიძე** — ფიზკულტურული მუშაობის მეთოდისტი.

# ლიხს იქით და ლიხს აქეთ...

**წულუკიძე**

**ჩატარდა სარაიონო პირველობა ფრენბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, წარმოება-დაწესებულებების, პროფტექნიკური სასწავლებლებისა და სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ტექნიკუმის ვაჟთა გუნდები.**

**ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს № 9 პროფტექნიკური სასწავლებლისა და მექანიზაციის ტექნიკუმის გუნდებმა. გადამწყვეტ შეხვედრაში წარმატებით ითამაშეს ტექნიკუმის ფრენბურთელებმა (დირექტორი რ. კაკაბაძე, ფიზაღზრდის მასწავლებლები ქ. ქუთათელაძე და გ. ჯიშკარიანი), რომლებიც პირველ ადგილს დაეუფლნენ.**

**პ. გეგუჩაძე.**

**სამტრედია**

რაიონის მოჭადრაკე ვაჟთა პირველობაზე 12 შესაძლებლიდან 9,5-9,5 ქულა მოაგროვეს ოსტატობის კანდიდატებმა ბესო ლეჟავამ და ვადიმ დუნდუამ. დებულების თანახმად, ჩემპიონის გამოსავლენად გაიმართა დამატებითი მატჩი (6 პარტია), რომელიც ყაიმით დამთავრდა და ორივე მოჭადრაკეს რაიონის ჩემპიონის წოდება მიენიჭა.

**იორამ ნიკოლეიშვილი.**

**ახმეტა**

**„კოლმეურნის“ რაისაბჭოს მოჭადრაკეთა პირველობაში 18 გუნდმა მიიღო მონაწილეობა. საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: მატნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის (I ადგილი), ახმეტის ბიოქიმიური ქარხნის (II) და ახმეტის გაზკანტორის კოლექტივები (III).**

**ახმეტელებმა გადაწყვიტეს, ახლო მომავალში დააარსონ ნინო გურიელის სახელობის საჭადრაკო კლუბი.**

**ალექსანდრე პაპოშვილი,**
**„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი.**

**ასპინძა**

მაგიდის ჩოგბურთში გამართულ ასპინძის რაიონის მოსწავლეთა შეჯიბრებაში რვა სოფლის სპორტსმენები იბრძოდნენ გამარჯვებისთვის. ჭაბუკებში პირველობა არავის დაუთმო ასპინძელმა ტარიელ ცუცქირიძემ, რომელმაც ტურნირი დაუმარცხებლად განვლო. მეორე ადგილი წილად ხვდა აწყვიტელ გიორგი დიასამიძეს, მესამე ადგილზე რუსთაველი კობა წიკლაური გავიდა. საინტერესოდ წარიმართა გოგონათა შეხვედრები, განსაკუთრებით რუსთაველი ირმა წიკლაურისა და ასპინძელ მაია ზაზაძის ორთაბრძოლა. მცირე უპირატესობით გაიმარჯვა და პირველი ადგილი დაისაკუთრა წიკლაურმა. ზაზაძემ დანარჩენი პარტიები მოიგო და მეორე ადგილზე გავიდა. გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავეს ასპინძელმა ჩოგბურთელებმა.

**დათო ზედგინიძე,**
**ასპინძის საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელი მოსწავლე.**

# პატივცემულო რედაქცია!

ქარელის რაიონის სოფელ ბერძენაულის ახალგაზრდები თხოვნით მოგმართავთ.

ჩვენი სოფლის საკოლმეურნეო შრომაში აქტიურად ვმონაწილეობთ. კოლმეურნეობის სახელს ვიცავთ სპორტულ შეჯიბრებებშიც, მაგრამ მიუხედავად მრავალგზის თხოვნისა, რითაც კოლმეურნეობის გამგეობას მივმართეთ, სასოფლო საბჭოს აღმასკომმა მარტივი ტიპის სპორტული მოედნისათვის ადგილი არ გამოგვიყო.

შეჯიბრებების ჩატარება გვიხდება სოფელ აბისის სპორტულ მოედანზე, რომელიც ჩვენი სოფლიდან სამი კილომეტრითაა დაშორებული.

იქნებ ადგილი სპორტული მოედნისთვის თქვენი დახმარებით გამოგვიყონ.

**ქარელის რაიონის სოფელ ბერძენაულის ახალგაზრდობა.**

## მოკლედ

**კადრები — სოფელს**

დიდი ხანია ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში სპეციალისტებთან ერთად ფიზკულტურისა და სპორტის ინსტრუქტორ-მეთოდისტებსაც ამზადებენ. წელს ტექნიკუმმა გზა დაულოცა 25 საზოგადოებრივ მუშაკს. მალე ისინი მშობლიურ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაბრუნდებიან და თავიანთი სოფლების ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას ჩაუდგებიან სათავეში.

**პ. ნებიერიძე.**

# სტუმრები კმაყოფილი დარჩნენ

თბილისის განათლების სამმართველოს 43-ე სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ველოსიპედისტთა შეჯიბრებაში ქალაქის რაიონების 75-მა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. მოასპარეზეთა შორის იყვნენ სტუმრებიც — მოლდავეთიდან შეკრებაზე ჩამოსული 15 ჭაბუკი და 3 გოგონა. მოლდაველ ველოსიპედისტთა გამოსვლამ შეჯიბრება კიდევ უფრო საინტერესო გახადა.

ნატახტრის მიდამოებში მოეწყო ინდივიდუალური რბოლა — ჭაბუკებისთვის 15 კილომეტრზე, გოგონებისათვის — 10 კილომეტრზე. ჭაბუკთა შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა თბილისის საქარხნო რაიონის წარმომადგენელმა ვასილი დავიდენკომ — 20.53. უფრო დაძაბული გამოდგა მეორე ადგილისთვის ბრძოლა. ფინიშთან იმარჯვა ლენინის რაიონის ველოსიპედისტმა თენგიზ ოგანეზოვმა — 21.47. მას მხოლოდ წამის მეასედით ჩამორჩა ორჯონიკიძის რაიონის წარმომადგენელი მამუკა ყურაშვილი.

გოგონათა შორის პირველობა პირველი მაისის რაიონის ველოსიპედისტებმა ელენე ფოკინამ და ტატიანა მოდიჩევამ გაითამაშეს. ფოკინამ სულ მცირედით აჯობა მეტოქეს — 15.42. მესამე ადგილზე ოლია სტაპრიკინა (გლდანის რაიონი) გავიდა — 15.56.

მართალია სტუმრებს არც ერთი საპრიზო ადგილი არ ერგოთ, შეჯიბრების შედეგებით კმაყოფილი დარჩნენ. საქართველოს ველოსიპედისტებთან ერთობლივმა წვრთნამ მათ დიდი სარგებლობა მოუტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

# ფედერაციის თასზე

**დაიწყო** სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის გათამაშება.

თბილისის „დინამო“ და ლანჩხუთის „გურია“ 19 აპრილს სტუმრად თამაშობდნენ ერევანში და ბაქოში. დინამოელებმა „არარატთან“ ფაქტიურად სათადარიგო შემადგენლობა გამოიყვანეს მინდორზე, რაც შეეხება მასპინძლებს, ისინიც შესუსტებული შემადგენლობით თამაშობდნენ, ვინაიდან ძირითადი გუნდი ამჟამად უცხოეთში იმყოფება ამხანაგური თამაშების ჩასატარებლად.

პირველი ბურთი ერევნელმა დემირჭიანმა გაიტანა, მაგრამ დინამოელებმა შემდგომში ხელთ აიღეს ინიციატივა, ჟორდანიამ ანგარიში გაათანაბრა, გურულმა კი დააწინაურა თავისი გუნდი. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს თბილისელებმა.

ლანჩხუთის „გურია“ დაძაბული ბრძოლის შემდეგ ბაქოში მინიმალური ანგარიშით დამარცხდა — 0:1.

სხვა შეხვედრათა შედეგები: „ტორპედო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი), 2:2, „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „დინამო“ (კიევი) 2:0, „დინამო“ (მოსკოვი) — ცსკა 1:0, „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) 4:1, „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 2:1.

**ფედერაციის თასის II ტურში საქართველოს გუნდები შინ მიიღებენ მეტოქეებს. ლანჩხუთის „გურია“ 25 აპრილს შეხვდება ერევნის „არარატს“, ხოლო თბილისის „დინამო“ 26 აპრილს — ბაქოს „ნეფთჩის“.**

## I ლიგა

**17 და 18 აპრილს შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების III ტურის მატჩები.**

ქუთაისის „ტორპედოსა“ და ბათუმის „დინამოს“ შეხვედრათა შესახებ წინა ნომერში ვიუწყებოდით. სხვა მატჩების შედეგები: „დინამო“ (სტავროპოლი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 1:1, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 2:0, „დაუგავა“ (რიგა) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 2:0, „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) 2:0, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 1:1, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 1:1, „კუზბასი“ (კემეროვო) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:0, „პამირი“ (დუშანბე) — ასკ (დონის როსტოვი) 1:0, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 1:0.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 21 აპრილისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჩერნომორეცი“ | 4 | 4 | 0 | 0 | 7-0 | 8 |
| „შინიკი“ | 4 | 4 | 0 | 0 | 5-0 | 8 |
| „დაუგავა“ | 4 | 3 | 1 | 0 | 8-2 | 7 |
| „კოლოსი“ | 5 | 3 | 0 | 2 | 6-4 | 6 |
| „გეოლოგი“ | 4 | 2 | 2 | 0 | 5-0 | 6 |
| „კუზბასი“ | 4 | 2 | 2 | 0 | 5-1 | 6 |
| „ფახთაქორი“ | 3 | 2 | 1 | 0 | 4-0 | 5 |
| „პამირი“ | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 5 |
| „ლოკომოტივი“ | 4 | 1 | 3 | 0 | 4-2 | 5 |
| „მეტალურგი“ | 4 | 2 | 0 | 2 | 6-6 | 4 |
| „კრ. სოვეტოვი“ | 4 | 1 | 2 | 1 | 4-2 | 4 |
| ასკ „კარპატი“ | 4 | 1 | 2 | 1 | 3-3 | 4 |
| „დინამო“ ბ. | 4 | 1 | 1 | 2 | 1-4 | 3 |
| „კოტაიკი“ | 4 | 1 | 1 | 2 | 3-7 | 3 |
| „ფაკელი“ | 4 | 0 | 2 | 2 | 2-5 | 2 |
| „სპარტაკი“ | 4 | 0 | 2 | 2 | 0-3 | 2 |
| ასკ რ. | 4 | 0 | 2 | 2 | 1-5 | 2 |
| „ზარია“ | 5 | 0 | 2 | 3 | 3-8 | 2 |
| „ტორპედო“ ქ. | 4 | 0 | 2 | 2 | 0-5 | 2 |
| „როსტსელმაში“ | 3 | 0 | 1 | 2 | 2-4 | 1 |
| „დინამო“ სტ. | 3 | 0 | 1 | 2 | 2-7 | 1 |
| „როტორი“ | 4 | 0 | 0 | 4 | 2-8 | 0 |

# ორი ტურნირი საფრანგეთში

**საფრანგეთის** ქალაქ სენ-მალოში მიმდინარეობს 17 წლამდე ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. სსრ კავშირის ნაკრებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხა შოტლანდიის გუნდი და 5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა „ა“ ჯგუფში. ამდენივე ქულა დააგროვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებმა, რომელმაც ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩი ფრედ (0:0) დაამთავრა საფრანგეთის გუნდთან.

ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირის და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდები, ხოლო III ადგილისთვის იბრძოლებენ საფრანგეთისა და პორტუგალიის ფეხბურთელები.

ქ. მონტეგიუში კი გამოდიან 16 წლამდე ასაკის ფეხბურთელები. ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა ბელგიელებთან ფრედ დაამთავრა ნახევარფინალური მატჩი — 0:0, მაგრამ დამატებითი პენალტებით დამარცხდა — 0:3.

უნგრეთის ფეხბურთელებმა გამარჯვება მოიპოვეს საფრანგეთის გუნდთან შეხვედრაში — 2:1, ახლა ისინი ფინალში შეხვდებიან საფრანგეთის ნაკრებს.

## საქართველოს პირველობა

**განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის VIII ტურის შეხვედრები I ჯგუფის გუნდებს შორის.**

„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „ივერია“ (ხაშური) 4:1, „სქური“ (წალენჯიხა) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:0, „მადნეული“ (ბოლნისი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 7:1, „შადრევანი“ (წყალტუბო) — „დინამო“ (გაგრა) 2:0, „დურუჯი“ (ყვარელი) — „არმაზი“ (მცხეთა) 0:1, „დინამო“ (ზუგდიდი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 4:0, „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 4:0, „ქართლი“ (გორის რ-ნი) — „იმედი“-„დინამო“-2“ (თბილისი) 3:1, „მერცხალი“ (მახარაძე) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 3:2, „სალხინო“ (გეგეჭკორი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:1, „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — ახ. საფეხბ. სკოლა (თბილისი) 3:0, „კახეთი“ (თელავი) — „სულორი“ (ვანი) 0:1.

# „ცხოვრება მარტო მუშაობა არაა“

**ცნობილი** დანიელი ფეხბურთელი, 1977 წლის „ოქროს ბურთის“ ლაურეატი ალან სიმონსენი თითქმის 7 წლის მანძილზე იცავდა ბუნდესლიგის წარმომადგენლის, მიონხენგლადბახის „ბორუსიის“ ღირსებას, შემდეგ „ბარსელონაში“ და ინგლისის „ჩარლტონ ათლეტიკში“ გამოდიოდა, თავისი უკანასკნელი მატჩი კი მან ნაკრების შემადგენლობაში გასული წლის სექტემბერში გამართა გფრ-ის ნაკრებთან. გთავაზობთ ინტერვიუს ამ სპორტსმენთან.

● **ნაკრების შემადგენლობაში უფრო ნაკლები წარმატებით გამოდიოდით, ვიდრე იმ კლუბებისა, რომლის ღირსებასაც სხვადასხვა დროს იცავდით. უკანასკნელი მარცხი დანიელებმა მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე იწვნიეს.**

— მოგეხსენებათ, ჩვენ პატარა ერი ვართ. გერმანელებისაგან განსხვავებით, ყოველთვის როდი ვისახავთ მიზნად პირველ ადგილზე გასვლას.

● **მაგრამ მსოფლიო ჩემპიონობაზე, ან უარეს შემთხვევაში ვიცეჩემპიონობაზე, ალბათ, უარს არ იტყოდით...**

— უარის თქმა, ორივე ტიტულზე, სისულელე იქნებოდა, მაგრამ თუ ჩემპიონატის შედეგებს გადაავლებთ თვალს, დარწმუნდებით, რომ დანიელებმა შეტევი სტილის წყალობით ბევრ გუნდზე უკეთესად ითამაშეს.

● **ფრანც ბეკენბაუერი თვლის, რომ წარმატების მოსაპოვებლად ყველა საშუალება უნდა გამოიყენო.**

— მაყურებელზე თამაშის წინასწარ შედგენილი სქემა გაცილებით ნაკლებ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე იმპროვიზებული, ემოციებით დატვირთული თამაში. საერთო წარმატებას ეწირება მთავარი — თანდათანობით კვდება ფეხბურთი. მე ეს ძალიან მაღელვებს. მექსიკაში რისკის საფასურად დავმარცხდით ესპანელებთან — 1:5, ურუგვაელები კი 6:1 დავამარცხეთ, მაგრამ მაყურებელს ნამდვილი საფეხბურთო სპექტაკლი შევთავაზეთ. განა ეს ცოტას ნიშნავს? შინ დაბრუნებული დანიის ეროვნული ნაკრები არავის გაუკრიტიკებია, პირიქით, დღესაც ასე ლაპარაკობენ და წერენ: ჩემპიონატზე დანიელებმა ლამაზი ფეხბურთი აჩვენესო.

● **დანიელები ლამაზად თამაშობენ, მაგრამ მნიშვნელოვან მატჩებში მარცხდებიან...**

— გერმანელებისათვის მთავარი გამარჯვებაა, რისთვისაც თავგამოდებით იბრძვიან. ჩემს აღმომჩენსა და პირველ დამრიგებელს ჰენეს ვაისვაილერს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ იყო შემთხვევები, როცა მარცხის მთავარ მიზეზად ჩვენ გვთვლიდა ხოლმე...

● **თქვენ ესპანეთსა და ინგლისშიც გამოდიოდით...**

— მართალია, ინგლისში ცოტა ხნით ვიყავი, მაგრამ ერთი რამ შევამჩნიე: ბუნდესლიგისგან განსხვავებით, იქაური პროფესიონალი ფეხბურთელები ურთიერთობაში უფრო ადამიანურები არიან. ესპანეთშიც ასეა. ესპანელ ფეხბურთელს კოლეგის ბედი აღელვებს, მართალია, ისინი დამარცხებას განიცდიან, მაგრამ აქედან ტრაგედიას არ ქმნიან.

● **დანიის ნაკრების მწვრთნელი პიონტეკიც ხომ გერმანელია...**

— არა, მხოლოდ ნახევრადაა გერმანელი, ნახევრად იგი დანიელია. ვფიქრობ, იდეალური თანაფარდობაა. პიონტეკმა ბევრი რამ გვასწავლა, ერთსულოვანი გუნდი ჩამოაყალიბა და ნამდვილი ეროვნული ნაკრები შექმნა, რომელსაც ერთი მიზანი ამოძრავებს, მაგრამ ჩვენ მას ვაგრძნობინეთ, რომ რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენ მაინც ინდივიდუალისტები ვიქნებით, რომ მწვრთნელის ავტორიტეტი განუსაზღვრელი არ არის. ცხოვრებაში ადამიანისათვის საქმის გარდა, სხვა რამეც არსებობს.

**მოამზადა მალხაზ რადიანმა.**

# ჩვენს რიგებს ემატოს!..

**უკვე** 24-ე გაზაფხულს ითვლის ნორჩ ფეხბურთელთა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საკავშირო ტურნირი „ტყავის ბურთის“ პრიზზე. კლუბის ცენტრალურმა შტაბმა ამას წინათ სხდომა ჩაატარა ლენინგრადში, სადაც ბევრი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს.

უპირველესად უნდა ითქვას, რომ მონაწილეთა, მწვრთნელთა, კომკავშირულ და სპორტულ მუშაკთა თხოვნით ამიერიდან ტურნირში გამოვლენ უფროსი ასაკობრივი ჯგუფის (16-17 წელი) ფეხბურთელებიც. ისინი შეიძლება გაერთიანდნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფტექსასწავლებლებისა და პედაგოგიური სასწავლებლების, ტექნიკუმების, აგრეთვე, საცხოვრებელი ადგილების მიხედვით შექმნილ გუნდებში.

ამრიგად, საბავშვო (7-9 წელი) და უმცროსი ასაკის (10-11 წელი) ჯგუფების წევრები მონაწილეობას მიიღებენ სკოლებში, პიონერთა ბანაკებში, ბავშვთა სახლებში, პარკებში, საცხოვრებელი ადგილების მიხედვით გამართულ შეჯიბრებებში. მომდევნო სამი ასაკობრივი ჯგუფები (12-13, 14-15 და 16-17 წლები) გამოვლენ სარაიონო პირველობებიდან დაწყებული, საკავშირო ფინალების ჩათვლით.

ყველასთვის კარგად არის ცნობილი „ტყავის ბურთის“ კლუბის პრინციპი — სპორტში სამეცადინოდ მიიზიდოს რაც შეიძლება მეტი ბავშვი მათი ჯანმრთელობის გაკაჟებისა და ზნეობრივი აღზრდის მიზნით. მათგან, ვინც „ტყავის ბურთის“ ტურნირებში მონაწილეობდა, დღეს ბევრი უმაღლესი კლასის ოსტატი და სსრ კავშირის ნაკრების წევრია.



ამ ბოლო ხანს ხშირად გაიგონებთ კრიტიკულ შენიშვნას, რომ ჩვენთან მოისუსტებს მაღალკვალიფიციურ მსაჯთა მომზადების დონე. ამასთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ იქნება „ტყავის ბურთის“ ორგანიზატორთა ახალი წამოწყება: თითქმის წელიწადია, რაც მსაჯთა საკავშირო კოლეგიასთან, აგრეთვე, რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის საქალაქო კოლეგიებთან შეიქმნა ნორჩ მსაჯებთან მუშაობის სექტორები. ისინი ბავშვებისთვის ქმნიან ახალგაზრდა არბიტრთა სკოლებს, აწყობენ სპეციალურ სემინარებს, რის შემდეგაც ნორჩებს საშუალება ეძლევათ მოემსახურონ თავიანთი სკოლების, ტექნიკუმების, პროფტექსასწავლებლების, რაიონებისა და ქალაქების მასშტაბებით გამართულ შეჯიბრებებსაც კი.

ნორჩ მსაჯთა პირველმა გამოცდამ, როცა ისინი 1986 წელს მოემსახურნენ „ტყავის ბურთის“ კლუბის პრიზზე ალმა-ათაში გამართულ ფინალურ ტურნირს, წარმატებით ჩაიარა. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ე. ლიურტაევმა (მოსკოვი), ი. კოლუპაევმა (პოდოლსკი), ი. ბლუმბერგსმა (რიგა), ო. ისხაკოვმა (ტაშკენტი), მ. მამედოვმა (ბაქო). ეს პრაქტიკა წლეულსაც გაგრძელდება.

ვფიქრობთ, რომ „ტყავის ბურთის“ კლუბის ცენტრალური საბჭოსა და საკავშირო მსაჯთა კოლეგიის მიერ წამოწყებული მსაჯთა მომზადებისა და აღზრდის საქმე დადებით შედეგს გამოიღებს. არც ისე შორსაა დღე, როცა „ტყავის ბურთი“ თავს მოიწონებს არა მარტო ფეხბურთელებით, რომლებმაც მის რიგებში დაიწყეს თავიანთი სპორტული გზა, არამედ მსაჯებითაც.

**ს. სალმანი,**
**საკავშირო კატეგორიის მსაჯი, „ტყავის ბურთის“ კლუბის ცენტრალური შტაბის წევრი.**

# ფეხბურთელი და დიეტა



**ცნობილი იტალიელი სპორტული დიეტოლოგი დოქტორი მ. ჩიპოლა აცხადებს, რომ ყველა უცხოელი ფეხბურთელისთვის მნიშვნელოვანი პრობლემაა იტალიურ დიეტასთან შეგუება. ამ ქვეყანაში ჩასვლის პირველ ხანებში ისინი გარკვეულ სიძნელეებს განიცდიან.**

— როცა კარლ-ჰაინც რუმენიგე იტალიაში ჩამოვიდა, — თქვა მ. ჩიპოლამ, — იგი იძულებული იყო ნაკლებად ეჭამა კვერცხი და ხორცი, იტალიელებს მიგვაჩნია, რომ ამ პროდუქტების ჭარბად მიღება საზიანოდ მოქმედებს ფეხბურთელებზე. იტალიაში თამაშს აპირებს ცნობილი უელსელი ფეხბურთელი იენ რაში, მასაც ნაკლებად მოუწევს შეჩვეული საკვების მიღება, იგი უნდა შეეჩვიოს იტალიურ პასტას— მაკარონს, ბრინჯს და ა. შ.

დანიელმა ფეხბურთელმა მიქაელ ლაუდრუპმა აღწერა თუ როგორ უმასპინძლდებიან მას „იუვენტუსში“:

— აქ, იტალიაში, დიდი სიმკაცრეა. მატჩამდე სამსაათნახევრით ადრე გვაჭმევენ ბრინჯს ან სპაგეტის, ამას მოჰყვება ხორციანი კერძი, ბოლოს კი სასმელად მოაქვთ მინერალური წყალი ან ფორთოხლის წვენი. ყველაფერ ამას შეჩვევა უნდა.

**მირიან ბარდაველიძე.**

# ბიჭვინთის ტრადიციული

**ბიჭვინთაში** გაიმართა ნორჩ ფეხბურთელთა (1973-1974 წლებში დაბადებულნი) ტრადიციული საკავშირო ტურნირი. ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, ქუთაისის, გაგრის, ლესელიძის, განთიადის, ერევნის, კურსკის, აქტიუბინსკის, კამიშინისა და მასპინძელთა გუნდებმა. საინტერესო შეჯიბრების ბოლო დღეს მოეწყო გადამწყვეტი შეხვედრები. მესამე ადგილისათვის მატჩში კურსკელმა სპორტსმენებმა მასპინძლებს პენალტებით აჯობეს —5:4 (ძირითადი დრო — 0:0).

ფინალურ მატჩში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ თბილისის „ბერმუხა“ (სპორტსაზოგადოება „კოლმეურნე“) და ქუთაისის განათლების განყოფილების სპორტსკოლის გუნდი.

პირველი ტაიმი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა — ორივე მეტოქემ გაუშვა ხელიდან გოლის გატანის კარგი შესაძლებლობები. შესვენების შემდეგ ქუთაისელმა ფეხბურთელებმა უფრო მწვავედ შეუტიეს მოწინააღმდეგის კარს და მე-15 წუთზე ტურნირის ყველაზე შედეგიანმა მოთამაშემ ალუდა გუბელაძემ ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში (სულ გუბელაძემ 6 მატჩში 10 გოლი გაიტანა). თბილისელთა ეპიზოდურ იერიშებს შედეგი არ მოჰყოლია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ გადამწყვეტ შეხვედრაში მათ თავიანთი შესაძლებლობები ვერ გამოავლინეს. ქუთაისელთა გუნდმა (მწვრთნელი დავით ჩხაბერიძე) თამაშის ბოლომდე შეინარჩუნა მინიმალური უპირატესობა და გარდამავალი თასი დაისაკუთრა. აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულებმა ხუთი მატჩი მოიგეს და ერთი ფრედ დაამთავრეს ბურთების ჩინებული შეფარდებით — 21:1.

გააზრებული, საინტერესო თამაშით გამოიჩინეს თავი ალუდა გუბელაძემ, ლევან წერეთელმა, ბაკა გორდეზიანმა (ყველა — ქუთაისი), ზვიად ქიმაძემ, ბახვა მოსეშვილმა, ბადრი კაკულიამ, ბადრი ჯანაშიამ (ყველა — „ბერმუხა“).

ორგანიზატორებმა საუკეთესო მოთამაშეები პრიზებით დააჯილდოვეს.

**გია ახალაძე.**

## ლიუბოევიჩი დაეწია ლიდერს

**ბრიუსელში** მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა დიდ საერთაშორისო ტურნირში იუგოსლავიელმა ლიუბომირ ლიუბოევიჩმა გადადებულ პარტიაში სძლია ფილიპინელ ეუგენიო ტორეს და ლიდერს დაეწია. ახლა მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვსა და ლიუბოევიჩს 5,5-5,5 ქულა აქვთ. ანატოლი კარპოვისა და მიხეილ ტალის გამოტოვებული პარტია ყაიმით დამთავრდა. ახლა ისინი 4,5-4,5 ქულით ჰოლანდიელ იან ტიმანთან და დანიელ ბენტ ლარსენთან ერთად IV-VII ადგილებს იყოფენ. ვიქტორ კორჩნოის (შვეიცარია) 5 ქულა აქვს.

## სამმაგი გამარჯვება

**თბილისის** ცენტრალურ ველოტრეკზე ჩატარდა ჭაბუკთა და იუნიორთა რესპუბლიკური პირადი ჩემპიონატი, რომელშიც ზოგიერთმა ველოსიპედისტმა ორმაგად გამოიჩინა თავი. ასე მაგალითად, განათლების სამმართველოს წარმომადგენელმა კახაბერ მჭედლიძემ მოიგო შეჯიბრება ჭაბუკთა სპრინტსა და 500 მეტრზე გიტში (30,95).

ორი პირველი ადგილი მოიპოვა (იუნიორთა ასპარეზობაში) დინამოელმა მამუკა ყურაშვილმაც. 500 მეტრზე გიტში მან — 29,29 აჩვენა, 200-მეტრიან დისტანციაზე კი — 11,60.

ჯგუფური რბოლა საშუალედო ფინიშებით ოთხჯერ ჩატარდა. ორჯერ პირველი თემურ გიგოლაევი („დინამო") იყო, ორჯერაც — მისი თანაგუნდელი მიხეილ ჩევარდოვი.

იუნიორ სპრინტერთა ასპარეზობაში საუკეთესო შედეგი დინამოელმა კონსტანტინე ჭვარშეიშვილმა აჩვენა, ხოლო ჭაბუკთა გიტი 200 მეტრზე განთიადელმა დავით გიორგობიანმა მოიგო — 12,52. გამოთიშვით ჭაბუკთა ჯგუფურ რბოლაში უძლიერესი განათლების განყოფილების წარმომადგენელი თენგიზ ოგანეზოვი იყო.

გოგონები ოთხ სახეობაში ასპარეზობდნენ. 500 მეტრზე გიტში ყველას ოლგა მრიანმა აჯობა — 34,29. ტურნირის აბსოლუტურ „რეკორდსმენად" შეიძლება ჩავთვალოთ სპარტაკელი ველოსიპედისტი ელენა ალიევა. მან ჩემპიონის სახელი სამ დისტანციაზე მოიპოვა: სპრინტში, 200 მეტრზე გიტსა (13,75) და ჯგუფურ რბოლაში (გამოთიშვით).

**ანზორ ჭიჭინაძე,**
**საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**



**38-ე მსოფლიო ჩემპიონატმა „ფორმულა 1"-ის ავტომობილებით რბოლაში 12 აპრილს. აილო სტარტი რიო-დე-ჟანეიროში, ჟაკარეპაგუას ტრასაზე, სადაც „ბრაზილიის დიდი პრიზი" გათამაშდა.**

## პირველი ეტაპი, პირველი „დიდი პრიზი"

80.000 ბრაზილიელი გულშემატკივარი ელოდა თავისი თანამემამულეების ნელსონ პიკესა და აირტონ სენას გამარჯვებას.

სტარტიდანვე ლიდერობა პიკემ ჩაიგდო ხელში. მას კვალდაკვალ მიჰყვებოდა ალენ პროსტი. როცა ნელსონ პიკე გაჩერდა საბურავების გამოსაცვლელად, ალენ პროსტი დაწინაურდა და აღარავის დაუთმო პირველი ადგილი. მისი მანქანის საშუალო სიჩქარე საათში 185 კმ-ს უდრიდა.

**პირველი ეტაპის შედეგები:**

1. **ალენ პროსტი** (საფრანგეთი) — 9 ქულა; 2. **ნელსონ პიკე** (ბრაზილია) — 6; 3. **სტეფან იოჰანსონი** (შვეცია) — 4; 4. **გერჰარდ ბერგერი** (ავსტრია) — 3; 5. **ტიერი ბუტსენი** (ბელგია) — 2; 6. **ნაიჯელ მენსელი** (ინგლისი) — 1. ჩემპიონატის დებიუტანტი, იაპონელი სატორუ ნაკაჰიმა, რომელიც „ლოტუს ჰონდას" ფირმის ავტომობილით გამოდის, მეშვიდე იყო. კონსტრუქტორთა პირველობის ქულები ასე განაწილდა: 1. „მარლბორო მაკლარენ-პორშე" — 13; 2. „უილიამს ჰონდა" — 7; 3. „ფერარი" — 3; 4. „ბენეტონ ფორდი" — 2.

ბრაზილიაში ალენ პროსტმა თავისი 26-ე „დიდი პრიზი" მოიპოვა. მოპოვებული გამარჯვებების რაოდენობით მას რეალური შანსი გაუჩნდა გაუსწროს მსოფლიო სამგზის ჩემპიონს, ინგლისელ ჯეკი სტიუარტს, რომელიც 27-ჯერ იყო პირველი.

* * *

**ახლა** კი იმ ცვლილებების შესახებ, რომლებიც მოხდა გუნდებში: „მარლბორო მაკლარენ-პორშე" — ალენ პროსტი (საფრანგეთი), სტეფან იოჰანსონი (შვეცია); „ტაირელ-ფორდი" — ჯონათან პალმერი (ინგლისი), ფილიპ სტრაიფი (საფრანგეთი); „უილიამს-ჰონდა" — ნაიჯელ მენსელი (ინგლისი), ნელსონ პიკე (ბრაზილია); „ბრებემ-ბე-ემ-ვე" — რიკარდო პატრეზე (იტალია), ანდრეა დეჩეზარისი (იტალია); „ცაკსპიდი" — მარტინ ბრანდლი (ინგლისი), კრისტიან დანერი (გფრ); „ლოტუს-ჰონდა" — სატორუ ნაკაჰიმა (იაპონია), აირტონ სენა (ბრაზილია); „ა-ქე-ეს ფორდი" — პასკალ ფაბრი (საფრანგეთი); „მარჩ-ფორდი" — ივან კაპელი (იტალია); „ეროუზ ბე-ემ-ვე" — დერეკ უორვიკი (ინგლისი), ედი ჩივერი (აშშ); „ბენეტონ-ფორდი" — ტეო ფაბი (იტალია), ტიერი ბუტსენი (ბელგია); „ოსელა-ალფა რომეო" — ალექს კაფი (იტალია); „მინარდი-მოტორი მოდერნი" — ადრიან კამპოსი (ესპანეთი), ალესანდრო ნანინი (იტალია); „ლიჟიე" — რენე არნუ (საფრანგეთი), პიერკარლო გინძანი (იტალია); „ფერარი" — მიქელე ალბორეტო (იტალია), გერჰარდ ბერგერი (ავსტრია); „ლოლა ფორდი" — ფილიპ ალიე (საფრანგეთი).

**დავით ჩუბინიძე.**

მკითხველი — გაზეთი

## კალათბურთის რაინდი

**პატივცემულო რედაქცია! გთხოვთ გვიამბოთ წარსულში ცნობილ საბჭოთა კალათბურთელზე, მიუნხენის ოლიმპიადის გმირზე, ოლიმპიურ ჩემპიონ ალექსანდრე ბელოვზე.**

**ალექსანდრე ბუკია.**
თბილისი.

ალექსანდრე ბელოვი რომანტიკული კალათბურთის თაყვანისმცემელი გახლდათ და კალათბურთსაც რომანტიკულს თამაშობდა. ვისაც ალექსანდრე ბელოვის თამაში ერთხელ მაინც უნახავს, ამაში უსათუოდ დამეთანხმება. ა. ბელოვის დიდოსტატად ჩამოყალიბების საქმეში მისი მწვრთნელის ვლადიმერ კონდრაშინის წვლილი განუზომლად დიდია. ამ ორი ადამიანის გარეშე ლენინგრადის „სპარტაკი" საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე წარმატებებს ვერ მიაღწევდა 70-იან წლებში. ბელოვი შეუდარებელი იყო დაცვაში. ამიტომ იყო ამერიკელი სპეციალისტები მის თამაშს მაღალ შეფასებას რომ აძლევდნენ. თავდასხმაში ის არ თამაშობდა ტიპიურ „ცენტრს", რომელიც მხოლოდ ფარის ქვეშ გრძნობს კარგად თავს, ის აქტიურად ებმებოდა თამაშში. კომბინაციური თამაშის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო და ხშირად მეორე გამთამაშებლის ფუნქციებს ასრულებდა. ამიტომ გარკვეული თვალსაზრისით არვიდას საბონისის წინამორბედიც იყო. 1974 წელს გამართულ მსოფლიოს VII ჩემპიონატზე ა. ბელოვი ჩემპიონატის საუკეთესო თავდამსხმელად და ცენტრალურ თავდამსხმელად აღიარეს. კალათბურთის მოყვარულებს რა დაავიწყებს მიუნხენის „იმ დრამატულ წამს", ივან ედეშკოს ზუსტ პასს და ალექსანდრე ბელოვის „ოქროს ტყორცნას", რამაც ჩვენი გუნდი პირველად გახადა ოლიმპიური ჩემპიონი.

ალექსანდრე ბელოვი კონდრაშინმა აღმოაჩინა სმოლენსკის რაიონის 291-ე სკოლაში. ხუთი წელი ვარჯიშობდნენ ერთად. ეს დრო, როგორც კონდრაშინი იგონებს, არ ყოფილა მათთვის დალხინებული: „როგორც ცნობილია, ნიჭიერ კაცთან მუშაობა ყოველთვის რთულია, თუმცა მოხარული ვარ, რომ ერთად მუშაობამ ნაყოფი გამოიღო. საშამ მალე შეიყვარა კალათბურთი".

1968 წლის იანვარში საბჭოთა კავშირის ნაკრები, რომელიც მეხიკოს ოლიმპიადისათვის ემზადებოდა, უძლიერესი შემადგენლობით ჩავიდა ლენინგრადში „სპარტაკთან" შესახვედრად. ნევისპირელებმა კარგად ითამაშეს დაცვაში — ფარქვეშ ბრძოლა მოიგეს ლეონიდ ივანოვმა და ალექსანდრე ბელოვმა. გარდა ამისა, ბელოვმა სრულიად გამოთიშა თამაშიდან ნაკრების უძლიერესი მოთამაშე მოდესტას პაულაუსკასი. ეს ძალიან ბევრს ნიშნავდა.

მანილაში გამართული მსოფლიოს VIII ჩემპიონატიდან მივიღეთ თავზარდამცემი ცნობა, რომელმაც მსოფლიოს სპორტული პრესის ფურცლები მოიარა. 1978 წლის 9 ოქტომბერს გარდაიცვალა ალექსანდრე ბელოვი. მას ოცდაშვიდი წელიც კი არ შესრულებია (დაიბადა 1951 წლის 9 ნოემბერს). კვლავ ვ. კონდრაშინს მოვუსმინოთ: „20 სექტემბერს საშა საავადმყოფოში დააწვინეს. ავადმყოფობა ძალზე სწრაფად ვითარდებოდა. საშას გარდაცვალებიდან ცოტა ხნის შემდეგ თებერვალში მიმიწვიეს ერთ-ერთ სამედიცინო კონფერენციაზე, სადაც საუბარი იყო იმ ავადმყოფობაზე, რომელმაც საშა შეიწირა. ეს იყო გულის სარკომა, ძალზე იშვიათი დაავადება. როგორც კონფერენციაზე ითქვა, მთელს მსოფლიოში რეგისტრირებულია 47 შემთხვევა, აქედან საბჭოთა კავშირში მხოლოდ ორი".

ალექსანდრე ბელოვი თითქმის ყველა უმაღლეს საკალათბურთო ტიტულს ფლობდა. ყველა ამ წარმატებას თავის მწვრთნელ ვლადიმერ კონდრაშინთან ერთად მიაღწია, რომელსაც საშა საკუთარი შვილივით უყვარდა...

**მერაბ კალანდაძე.**

### ისევ შტეფი გრაფი

**ამელია ისლანდი** (აშშ). გფრ-ის ჩოგბურთელმა 17 წლის შტეფი გრაფმა, რომელსაც მსოფლიო კლასიფიკაციაში მეორე ადგილი უკავია, კიდევ ერთი საერთაშორისო ტურნირი მოიგო. ნახევარფინალში მან არგენტინელ გაბრიელა საბატინის აჯობა (6:2, 6:2), ფინალში კი ხანა მანდლიკოვა (ჩეხოსლოვაკია) დაამარცხა — 6:3, 6:4. სპეციალისტთა აღიარებით გრაფი დღესდღეობით უძლიერესი ჩოგბურთელია მსოფლიოში.

### „სპორტლოტო"

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, XVI ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** 18 (მძლეოსნობა), 33 (ფეხბურთი), 34 (ბალახის ჰოკეი), 35 (შაიბიანი ჰოკეი), 36 (მხატვრული ტანვარჯიში), 43 (ტურიზმი).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 4 (კრივი), 7 (კლასიკური ჭიდაობა), 27 (მშვილდოსნობა), 29 (სასტენდო სროლა), 36 (მხატვრული ტანვარჯიში).

### ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 21 აპრილი.** დილის დაჭერვა — **8.00 (1)**; დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **21.15 (2)**; მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში: ჩეხოსლოვაკია — სსრ კავშირი (გადაცემა ავსტრიიდან) — **22.40 (1)**.

კრივის სამყაროში

## პროფესიონალები და მოყვარულები

ცნობილ ფრანგ მენეჯერ ფილიპ ფილიპის ჟურნალისტებმა კითხვა დაუსვეს, რით განსხვავდება პროფესიონალი მოყვარული მოკრივისაგან. მენეჯერმა ასე უპასუხა მათ:

— მხოლოდ ძალების განაწილების უნარით. უნდა შეგეძლოს, როგორც მოყვარულებშია, 3-რაუნდიანი ბრძოლიდან 12-15-რაუნდიან ბრძოლაზე გადასვლა, ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად სათანადოდ მომზადება. ვფიქრობ, უძლიერეს მოყვარულ მოკრივეებს, ვთქვათ, საბჭოთა კავშირის ან პოლონეთის მოკრივეებს თავისუფლად შეუძლიათ პროფესიონალები გახდნენ.

მან, ვინც პროფესიონალი „გლადიატორი" ხდება, ძალიან კარგად იცის, რომ დიდ რისკზე მიდის. მე შეიძლება რინგზე მოვკვდე — განაცხადა მოსკოვის ოლიმპიადის საუკეთესო მოკრივემ, ვალ ბაკერის თასის მფლობელმა, ცნობილმა პროფესიონალმა, იტალიელმა პატრიციო ოლივამ, — ეს მაშინაც ვიცოდი, როცა პროფესიონალი ვხდებოდი, მაგრამ რას იზამ, ასეთია ამ პროფესიის უმკაცრესი კანონი.

სტატისტიკოსებმა გამოიანგარიშეს, რომ მას შემდეგ, რაც ეს სახეობა დამკვიდრდა, რინგზე 100 ათასზე მეტი მოკრივე გამოვიდა, აქედან სამი მეოთხედი ზანგები იყვნენ. აი, რას წერდა ზანგების ჟურნალი „ებონი მეგეზინი": „ჩვენი მოკრივეები ოპტიმისტები არიან, როცა თამბაქოს ბოლით გავსებულ, ჭუჭყიან კრივის დარბაზებში თავიანთ ბრწყინვალე მომავალს წარმოიდგენენ. გახეთქილ თავსა და დალუპულ ცხოვრებას კი არ ხედავენ, არამედ ფულით სავსე ქისებს". აქ უნდა დავძინოთ, რომ უამრავი უბედურდება, ფულით სავსე ქისებს კი მხოლოდ ერთეულები იღებენ.

სპეციალისტებმა გამოთვალეს, რომ ყოფილ მოყვარულს პროფესიულ რინგზე წარმატების მოსაპოვებლად სულ მცირე ორი წელი მაინც სჭირდება. მაგალითისთვის მოვჰყავთ ლოს-ანჯელესის 1984 წლის ოლიმპიადის პრიზიორ ეველინდ ჰოლიფილდი. 1986 წელს მან მატჩი გამართა პროფესიონალთა მსოფლიო პირველობაზე (ქვემძიმე წონაში). ამ მომენტისთვის ჰოლიფილდს 11 მატჩი ჰქონდა ჩატარებული პროფესიულ რინგზე (ყველა მოიგო, მათ შორის 8 — ნოკაუტით). ყოფილი მოყვარულის მეტოქე იყო დევიდ მუჰამედ კუავი — მეტად თავისებური ფიგურა კრივის ისტორიაში. მან კრივი ციხეში ისწავლა და გამოვიდა თუ არა, კონტრაქტს მოაწერა ხელი. ჰოლიფილდისა და კუავის მატჩი 15 რაუნდს გაგრძელდა და ქულებით ჰოლიფილდმა გაიმარჯვა. აი, რა გამოითვალა ამ მატჩზე კომპიუტერმა: გამარჯვებულმა მეტოქეს 1290 დარტყმა მიაყენა და 629-ჯერ მიაღწია მიზანს. კუავის 1018 დარტყმიდან 562 აღმოჩნდა შედეგიანი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ საბჭოთა მოკრივეებმა არაერთგზის სძლიეს იმ უცხოელებს, რომლებიც შემდეგ არა მარტო პროფესიონალები, არამედ მსოფლიო ჩემპიონებიც კი გახდნენ. ასე მაგალითად, მომავალი მსოფლიო ჩემპიონები ს. ბურუნი (იტალია), ა. ჰალიმი (საფრანგეთი), ი. იუჰანსონი (შვეცია), მ. პარლოვი (იუგოსლავია), გ. მაჩიასი (მექსიკა), მ. ჯონსონი, ლ. სპინქსი, დ. ტეიტი, ტ. ტაბსი, მ. სპინქსი, რ. ლეონარდი (ყველა — აშშ) დაამარცხეს შესაბამისად ვ. სტოლნიკოვმა, ბ. სტეპანოვმა, ა. შოციკასმა, ვ. ტარასენკოვმა, გ. გარბუზოვმა, ვ. ლემეშევმა, ო. კოროტაევმა, ე. გორსტკოვმა, ი. ვისოცკიმ, რ. რისკიევმა და ა. კამნევმა.

### სპინქსს ჩამოართვეს ჩემპიონობა!

ნიუ-იორკში გამოქვეყნდა კრივის საერთაშორისო ფედერაციის (იბფ) გადაწყვეტილება მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონ მაიკლ სპინქსისათვის წოდების ჩამორთმევის შესახებ.

რატომ ჩამოართვეს სპინქსს მსოფლიო ჩემპიონობა? საქმე ის არის, რომ მან უარი განაცხადა შეხვედროდა ამ წოდების პირველ პრეტენდენტ ტონი ტაკერს. იბფ-ს წესების თანახმად, სპინქსს, მას შემდეგ, რაც ლარი ჰოლმსს შეხვდა, 9 თვის განმავლობაში უნდა დაეცვა თავისი წოდება. ეს ვადა დიდი ხანია გავიდა. სპინქსი ყოველნაირად არიდებდა თავს პრეტენდენტთან ბრძოლას, თუმცა, კიდევ მიეცა დამატებითი დრო. მაშინ იბფ-მ სპინქსს ჩამოართვა მსოფლიო ჩემპიონობა. ახლა ამ წოდების მოსაპოვებლად ერთმანეთს შეხვდებიან პრეტენდენტები ტონი ტაკერი და ჯეიმს დუგლასი.

კრივის მეორე საერთაშორისო ორგანიზაციამ — უბა-მ („უორლდ ბოქსინგს ასოშეიშნ") მსოფლიო ჩემპიონობა ჩამოართვა მერვინ ჰაგლერს, რომელმაც ასევე არ მოისურვა პრეტენდენტთან შეხვედრა.

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**


**ლანჩხუთის „გურიის" სტადიონი**

**25 აპრილი**

**ფეხბურთი**

**სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასზე**

**„გურია"** (ლანჩხუთი) —
**„არარატი"** (ერევანი) —
დასაწყისი 18 საათზე

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის მატჩებზე აბონემენტები ძალაში არ იქნება. თამაშზე დასწრების მსურველებს ბილეთების შეძენა შეუძლიათ ლანჩხუთის „გურიის" სტადიონის სალაროებში 23, 24, 25 აპრილს.

მატჩის დამთავრების შემდეგ მოეწყობა ერთგულების ლატარიის გათამაშება.



**ჩვენი მისამართი:** წერილებისთვის — 380096. თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

**რედაქციის ტელეფონები:** სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, წერილების განყოფილება — 93-97-55, „მერანი" — 93-97-26, „მარაფე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი:** 68435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06883